წმიდა მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელი, ვალახეთის მიტროპოლიტი – რუმინული ენის ფუძემდებელი და მესტამბეობის ბრძენი განმავითარებელი ქართულ სივრცეში

დანიელ-გრიგორე ფილიმონი
რუმინეთის საპატრიარქოს დოქტორი
ORCID: https://orcid.org/0009-0000-0674-6979

აბსტრაქტი. შუა საუკუნეების ეპოქაში წმიდა მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელს (1650–1716) გამორჩეული ადგილი უჭირავს იმ თვალსაჩინო მოღვაწეთა შორის, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს, როგორც სასულიერო, ისე რუმინელი ხალხის კულტურული ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

წარმოშობით ივერიიდან (თანამედროვე საქართველო) წმიდა ანთიმოზ ივერიელი იყო „რუმინელი ბედისწერითა და თავდადებით“. მან ჭეშმარიტად დაიმკვიდრა ადგილი რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცნობიერებაში თავისი მღვდელმთავრული მსახურებით, რუმინული ლიტურგიკული ენის განვითარებაში შეტანილი ფუნდამენტური წვლილითა და მდიდარი საგამომცემლო-მესტამბეობრივი მოღვაწეობით. მისი შემოქმედება სცილდება თეოლოგიის ფარგლებს და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა წიგნის ბეჭდვა, მორალურ-ეთიკური ლიტერატურა, ჰომილეტიკა (ქადაგების ხელოვნება), პედაგოგიკა და ეროვნული ცნობიერება.

იგი იყო ჭეშმარიტი „სიტყვის მოციქული“, რომელმაც გონიერებითა და მჭვრეტელობით იტვირთა სახარების ხალხის ენაზე ქადაგების მისია. სწორედ ამიტომ, რუმინულ თეოლოგიასა და კულტურაში წმიდა ანთიმოზ ივერიელის პატივისცემა და ხსოვნა ეფუძნება ამ ღირსეული მიტროპოლიტის ძალისხმევას, რათა რუმინული ენა ქცეულიყო ლიტურგიკულ ენად, წიგნს ემსახურა ევანგელიზაციის (ქრისტიანული განათლების) იარაღად, ხოლო იდენტობის ცნობიერებას ფესვი გაედგა წერილობითი და ზეპირი სიტყვის მეშვეობით. ამ მასშტაბური შრომის გამოძახილმა ქართულ ნიადაგამდეც მოაღწია.

საკვანძო სიტყვები: ანთიმოზ ივერიელი, კულტურა, მესტამბეობის ხელოვნება, ვლახეთი, ბრინკოვიანუს ეპოქა, ივერია, რუმინული ენის ფუძემდებელი, ლიტურგიკული წიგნი.